BK Architects

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ

სამღერეთის ქ. #5, ქ. თბილისი

მთავარი კორპუსის რეკონსტრუქციის
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
/მიშენება/

ქ. თბილისი 2023 წ.



BK Architects	დირექტორი დ. ბურჭულაძე პრ. მთ. არქიტ. გ. კაციტაძე	ობიექტის დასახელება: საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ: მთავარი კორპუსის რეკონსტრუქციის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მიშენება) მისამართი: სამღერეთის ქ #5, ქ თბილისი	სტადია რეკონსტრუქციის პროექტი ნახაზი სამშენებლო გენგეგმა	შენობის აბსოლიტური ნიშნული ±0,00=+560.60 შეასრულა ზ. გოგოლაური	ფურცელი №-1 მასშტაბი 1:500 თარიღი 11/10/2023

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ტერიტორია --ქ. თბილისი, სამღერეთის ქ№5, ს/კ 01.12.14.094.004. საპროექტო ობიექტი---საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის "ჯიუ"-ს რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქცია ითვალისწინებს ვესტიბიულის მიშენებას ჩრდილოეთ მხარეს. კონსტრუქციულად მიშენება წარმოადგენს ლითონის კარკასს რკინაბეტონის საძირკველზე. მიშენების ფასადი სამივე მხრიდან შემინულია. პროექტით აგრეთვე გათვალისწინებულია არსებული ბაქნის და შესასვლელი კიბეების, ჭიშკრის და ღობის ნაწილის დემონტაჟი. აგრეთვე უნდა მოხდეს ქვაფენილის მოხსნა და შემდეგ აღდგენა. დემონტირებული ღობის მაგივრად მოეწყობა ახალი საყრდენი კედელი. ტროტუარის და შენობის შორის მოეწყობა ასფალტის საფარი. გათვალისწინებულია პანდუსის მოწყობა. 0.00 შეესაბამება 560.60მ-ს.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--ტერიტორიის ფართი----------7081.00მ^2

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СНиП1.04.03.85 და მიღებულია პირობითად სამშენებლო სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე **T=6.00 თვე**, სადაც მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა იქნება 0.50 თვე.

<u>მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს</u>:
--არსებული შემოღობვის გამოყენება და დროებითი ღობის მოწყობა;
--სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება;
--სამშენებლო "უბნის" უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით უნივერსიტეტის არსებულ ქსელებიდან;
--დროებითი "ნაგებობების" განლაგება უსაფრთხო ადგილზე;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის გათვალისწინება.

3. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს ყველა სამუშაოს განხორციელება **ხელით** საპროექტო მიშენების მხრიდან. სამშენებლო მასალების შემოტანა და ნაგვის გატანა ქუჩამდე აგრეთვე მოხდეს ხელით. მცირე მოცულობის გამო, ბეტონის ნარევი გაკეთდეს ადგილზე ბეტონის მრევის საშუალებით. ვესტიბიულში, შიდა სივრცეში, დაყენდეს დროებითი შემოღობვა. არსებულ შენობასთან სამუშაოების განხორციელება მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით.

სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს ორი რიგის მიხედვით:

პირველი რიგი--------მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები:

--პირველი ეტაპი-----მოედნის მოწესრიგება----------**45 დღე**;

--მეორე ეტაპი------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება------**15 დღე**.

მეორე რიგი--------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მესამე ეტაპი-------მიშენების მიწის სამუშაოები, მიშენების ფუძის და საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე----------**30 დღე**;

--მეოთხე ეტაპი-----მიშენების სისტემის მოწყობა ლითონის კონსტრუქციებით ნულოვანი ნიშნულიდან, შენობა-ნაგებობის გადახურვის მოწყობა ლითონის და ხის კონსტრუქციებისაგან, ჰიდროსაიზოლაციო მებრანით დაფარვა და დათბუნების მოწყობა, მიშენების სამივე ფასადის შემინვა----------**45 დღე**;

--მეხუთე ეტაპი--------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები:
ახალი საყრდენი კედლის მოწყობა, ტროტუარის და შენობის შორის ასფალტის საფარის აღდგენა მისაწვდომი პანდუსის მოწყობა----------**45 დღე**.

4. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების – **"მშენებლობის უსაფრთხოების წესები"**-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

5. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1 ერთად.

ბ/ კალენდარული გეგმა 6.0 თვე

№ ეტ	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	დღე	თვეები											
			1		2		3		4		5		6	
			15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15
	მშენებლობის პირველი რიგი													
	მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები													
I	სამშენებლო მოედნის მოწესრიგება: მათ შორის არსებული ნაგებობების დაშლა და სამშენებლო ნაგვის მოცილება: --არსებული ბაქნის და კიბეების დაშლა; --ჯიშკრის და ღობის ნაწილის დემონტაჟი; --ქვაფენილის მოხსნა.	45												
II	შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება	15												
	მშენებლობის მეორე რიგი													
	მშენებლობის განხორციელების ძირითადი პერიოდის სამუშაოები													
III	მიშენების მიწის სამუშაოები ხელით	30												
	მიშენების ფუძის მოწყობის სამუშაოები													
	მიშენების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები													
	მიშენების სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე													
IY	მიშენების სისტემის მოწყობა ლითონის კონსტრუქციებით შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან	45												
	შენობა-ნაგებობის გადახურვის მოწყობა ლითონის და ხის კონსტრუქციებისაგან, ჰიდროსაიზოლაციო მებრანით დაფარვა და დათბუნების მოწყობა													
	მიშენების სამივე ფასადის შემინვა													
Y	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები: --ახალი საყრდენი კედლის მოწყობა; --ტროტუარის და შენობის შორის ასფალტის დაგება; --მისაწვდომი პანდუსის მოწყობა	45												

შენიშვნა: მშენებლობის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდეგ

დაამუშავა: / გ. გოგოლაური /